ISSN 1512-1801

The 2nd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

მასწავლებლობა - პროფესია თუ მოწოდება

ირინე ხატიაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ანოტაცია
სტატიაში საუბარია მასწავლებლის პროფესიაზე, ზოგადად რა მოიაზრება ტერმინში-მასწავლებელი. რა არის მასწავლებლის დანიშნულება, რა მიზანს ემსახურება სკოლაში მისული მასწავლებელი. რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა იმისთვის, რომ აღზარდოს ღირსეული და სრულფასოვანი პირვნება. რა თვისებები უნდა გააჩნდეს მასწავლებელს, რომ ის იყოს ყველასთვის სამაგალითო და შეეძლოს პატივისცემისა და სიყვარულის მოპოვება მოზარდებში, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მასწავლებლისა და მოსწავლის ჯანსაღი ურთიერთობისთვის. არის თუ არა მასწავლებლობა მხოლოდ პროფესია, საკმარისია თუ არა მასწავლებლისთვის მხოლოდ თეორიული ცოდნის ათვისება, მხოლოდ საგნის ცოდნა, რათა იყოს პედაგოგი, შევიდეს გაკვეთილზე და ჩაატაროს გაკვეთილი. სჭირდება თუ არა მასწავლებელს საგნის ბრწყინვალად ცოდნის გარდა, კიდევ სხვა რამ, ის, რაც მას დაეხმარება ბავშვებთან წამოჭრილი პრობლემების აცილებასა თუ მოგვარებაში., რა სჭირდება მასწავლებელს იმისთვის, რომ აღზარდოს ბავშვი მორალურად, ფიზიკურად, ზნეობრივად და გონებრივად ჯანსაღ გარემოში და ხელი შეუწყოს მის ნორმალურ განვითარებას. იმ ინდივიდისთვის, რომელიც მიდის საგანმანათლელო დაწესებულებაში სამუშაოდ, მასწავლებლობა არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ პროფესიას, ანაზღაურებად საქმიანობას, არამედ მისთვის ეს უნდა იყოს მოწოდებაც, რასაც ბავშვებისადმი სიყვარული წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები *- მასწავლებელი, პროფესია, საგანმანათლებლო დაწესებულება, ბავშვის ფენომენი, მოწოდება, პედაგოგიკა*

მაინც რა არის მასწავლებლობა, რას მოიაზრებს თავის თავში ტერმინი, სიტყვა - მასწავლებელი? მასწავლებლის პროფესია ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. იგი შორეულ ეპოქაში - პირველყოფილ-თემურ საზოგადოებაში წარმოიშვა, როცა იმდენი ცოდნა დაგროვდა, რომ შრომა-გარჯის პროცესში მისი თავისთავად ათვისება აღარ ხდებოდა და მხოლოდ სიბრძნით გამოჩეულ თითო-ოროლა ადამიანს შეეძლო მთელი ამ ცოდნის ფლობა და ახალგაზრდობისთვის გადაცემა. მასწავლებელი საზოგადოების თვალი იყო - ცოდნას, პატიოსნებასა და კულტურას განასახიერებდა, შეგნება და სინათლე შეჰქონდა ხალხში. როცა მასწავლებლის პროფესია მასობრივი გახდა, ამან რამდენადმე დასწია მისი პრესტიჟულობა, თუმცა ყველა შეგნებულ ადამიანს ჩინებულად ესმის მასწავლებლობის ყადრი, მისი შეუდარებელი სირთულე და განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნისთვის. მასწავლებელს მინდობილი აქვს ყველაზე საპასუხისმგებლო და ძნელი საქმე - ახალგაზრდობის ჩამოყალიბება სინდისიერ, კაცთმოყვარე, მცოდნე და კულტურულ პიროვნებებად, რომლებსაც

ISSN 1512-1801

საზოგადოების წინაშე წამოჭრილი ყველა მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა უნდა შეეძლოთ. მასწავლებელს ოთხი ძირითადი ფუნქცია აქვს: სასწავლო (საგანმანათლებლო), განმავითარებელი, აღმზრდელობითი და საზოგადოებრივ-პედაგოგიური.[1] [3]

მასწავლებელს ასე განმარტავს ლექსიკონი - პიროვნება, რომელიც სწავლის პროცესში დახმარებას უწევს, რჩევებს აძლევს მოსწავლეს, ხშირად საშუალო სკოლებში. უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლებისთვის იხმარება სხვა სიტყვები მაგ. პროფესორი, ლექტორი. თანამედროვე გაგებით, ადამიანი, რომელსაც მიბარებული ჰყავს აღსაზრდელი, შეგირდი და უნდა აღზარდოს, ამ სიტყვის ვიწრო და ფართო გაგებით, რაც თავისთავად მოაზრებს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. ამიტომ მასწავლებელი ეს არის პიროვნება, რომელსაც ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. რა არის საჭირო იმისთვის, რომ მასწავლებელმა, პედაგოგმა ეს შეძლოს, აღზარდოს მოსწავლე და ჩამოაყალიბოს სრულფასოვან, ღირსეულ პიროვნებად. პასუხი თითქოს მარტივია - პროფესიონალმა მასწავლებელმა, რომელმაც კარგად იცის თავისი საგანი. ნუთუ პროფესიონალიზმი საკმარისია იმისთვის, რომ მოსწავლე აღიზარდოს გონებივად, ფიზიკურად, ზნეობრივად?

მასწავლებელმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს თავისი სასწავლო საგანი, კარგად უნდა ერკვეოდეს მონათესავე დისციპლინებშიც. ამასთან, იგი უნდა ფლობდეს პედაგოგიკის თეორიას, ისტორიას, საგნის მეთოდიკასა და ასაკობრივ ფსიქოლოგიას. ეს ცოდნა, უმაღლეს სკოლაში შეძენილი, შემდგომში კი არ უნდა დავიწროვდეს, არამედ გაფართოვდეს და გამყარდეს. მასწავლებელმა უთუოდ უნდა გამონახოს დრო თავის თავზე მუშაობისთვის. ადოლფ დისტერვერგი და სხვა ცნობილი პედაგოგები ხაზგასმით აღნიშნავდნენ ამის საჭიროებას, რადგან ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობა, ინფორმაციის სისტემატური შემოფარგვლა მოსწავლეთათვის მისაწვდომი ჩარჩოებით მასწავლებლის თეორიული მომზადების, საერთო ერუდიციის თანდათანობით დაკნინებას იწვევს. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი არ იფარგლებოდეს პედაგოგიკისა და მეთოდიკების რეკომენდაციებით და თვითონაც ეძებდეს სწავლებისა და აღზრდის შემდგომ დახვეწა-გაუმჯობესების გზებს.

მასწავლებელი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იყოს გულგრილი პიროვნება. იგი, პირველ რიგში, მგზნებარე პატრიოტია, ქვეყნის კეთილდღეობისთვის თავდადებული პიროვნებაა, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი სასწავლო-სააღმზრდელო და საზოგადოებრივი საქმიანობის ეფექტურობას. კარგ სპეციალურ და პროფესიულ მომზადებასთან ერთად მასწავლებელს, სასურველია, პედაგოგიური ნიჭიც ჰქონდეს. პედაგოგიური ნიჭი ვლინდება ბავშვებისა და სკოლის სიყვარულში, სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობით სიამოვნების განცდაში, ორგანიზატორულ მონაცემებში, ტაქტიანობაში, პედაგოგიური ურთიერთობების ბუნებრივად, ძალდაუტანებლად აგების უნარში. ეს ყველფერი - ფართო ცოდნა, პატიოსნება, პედაგოგიური ნიჭიერება - ავტორიტეტს უქმნის პედაგოგს, განსაკუთრებულ ძალას ანიჭებს მის სიტყვას, მის ზემოქმედებას მოსწავლეებზე. მასწავლებელი, რომელსაც სათანადო მონაცემები აქვს, თვითონ იძენს ავტორიტეტს, მაგრამ პედაგოგიური კოლექტივი და მშობელთა საზოგადოებაც ხელს უნდა უწყობნენ ამაში -

[1] შ. მალაზონია. პედაგოგიკა., თბ. 2001., გვ. 352

ISSN 1512-1801

კეთილგანწყობით, მხარდაჭერით, დაფასებით. სამწუხაროდ, პედაგოგიური ნიჭიერება ისე ხშირი არ არის, ამ მასობრივ პროფესიას რომ სჭირდება. ეს ერთ-ერთი ყველაზე ძნელად გადასალახი წინააღმდეგობაა პედაგოგიკასა და სკოლის პრაქტიკაში. ბევრი მასწავლებელი გვყავს საგნის კარგი მცოდნე, მაგრამ პედაგოგიური ურთიერთობის აგების თვალსაზრისით - საკმაოდ სუსტი.[2] [3]

გადავწყვეტთ რა პედაგოგად მუშაობას, არასდროს უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ბავშვებთან, სათუთ არსებებთან, პატარა ადამიანებთან, რომელთაც ძალიან ბევრი რამ აქვთ სასწავლი, ასათვისებელი, შესაცნობი და მასწავლებელს არ აქვს შეცდომის დაშვების უფლება. გარდა ამისა, ყველა მოსწავლე ინდივიდია და ყველას თავისებური მიდგომა სჭირდება, ყველას სხვადასხვა უნარი აქვს, სხვადასხვა ნიჭი, სხვადასხვანარი ხედვა, სხვადასხვა ოჯახური კულტურის მქონეა, ამიტომ მასწავლებელს დიდი ძალისხმევა სჭიდება, რომ ამ ყველაფერს შეეჭიდოს და განსხვავებული თარგიდან ერთნაირად ღირსეული და მეტ-ნაკლებად სრულყოფილი პიროვნება ჩამოაყალიბოს ყველასგან. ამიტომ, ვფიქრობ, მხოლოდ პროფესიონალიზმი, საკუთარი საგნის ბრწყინვალედ ცოდნა ამისთვის საკმარისი არ არის.

მასწავლებლის პროფესიაზე საუბრისას, არ შეიძლება დაგვავიწყდეს სოკრატე. საინტერესოა მისი მოსაზრებები მასწავლებლის შესახებ. სწავლებისა და აღზრდის საქმეში, სოკრატეს აზრით, მთავარია ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის ნიჭისა და შესაძლებლობათა გამოვლენას. სოკრატე მასწავლებლის მიერ მოწაფის ინტელექტუალური ძალების ამოქმედებასა და განვითარებას „მეორე დაბადებას" უწოდებდა. მისი აზრით, როგორც ათენა იშვა ზევსის თავიდან, მასწავლებელსაც ასევე უნდა შესწევდეს უნარი მოსწავლის თავიდან ჭეშმარიტების დაბადებისა., ამას ის მასწავლებელი შეძლებს, ვისაც კარგად აქვს შესწავლილი მეცნიერება და თავისი აღსაზრდელი.[3] [6]

პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებლი იან ამოს კომენსკი სწავლებისა და აღზრდის ცენტრალურ ფიგურად თვლის მასწავლებელს, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს ყველა იმ თვისებით, რომელთა შემუშავებასაც იგი ცდილობს თავის აღსაზრდელში. მასწავლებელმა პირადი მაგალითით უნდა აღზარდოს, რადგან „არაფერი არაა უფრო ბუნებრივი, ვიდრე ის, რომ უკანმიმდევარი წინმიმავლის კვალს მიჰყვებოდნენ და რომ მოწაფენი აღიზარდნენ... მასწავლებლის მაგალითზე". მასწავლებელი საყოველთაო პატივისცემით უნდა სარგებლობდეს. სახელმწიფო ყოველმხრივ და ყველა საშუალებით უნდა ცდილობდეს მასწავლებლის ავტორიტეტის ამაღლებასა და დაცვაზე, რადგან „ისინი დაყენებული არიან მაღალ საპატიო ადგილზე, რომ მათ ჩაბარებული აქვთ საუცხოო თანამდებობა, რომლის უკეთესიც მზის ქვეშ არაფერი შეიძლება იყოს". მასწავლებლის თვისებათა შორის კომენსკი პირველ რიგში აყენებს საქმის ერთგულებას, ენციკლოპედიურ განათლებას, ზნეობრივ სიწმინდეს, ღვთისმოსაობასა და ბავშვის სიყვარულს.[4] [6]

[2] შ. მალაზონია. პედაგოგიკა., თბ. 2001., გვ. 354-355
[3] პედაგოგიკის ისტორია., თბ. 1988., გვ.23
[4] პედაგოგიკის ისტორია., თბ. 1988., გვ.77

ISSN 1512-1801

ფრანგი განმანათლებლის ჟან ჟაკ რუსოს აზრით, აღმზრდელი არის ადამიანურობის სახელოსნოს ოსტატი და ეს ხელობა ყველაზე რთული და ხანგრძლივია. აღმზრდელი ბავშვის ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს [5][6]

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბავშვის აღმზრდელობით საკითხებს შეეხო ვაჟა-ფშაველა. ის პედაგოგს ძალიან დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა, რამდენადაც ყველა წვრილმანი აღმოუფხვრელ შთაბეჭდილებას ახდენს და მეტად ღრმა კვალსა სტოვებს მოზარდის ფსიქიკურ არსებაზე, ამდენად ვაჟას აუცილებლად მიაჩნია, აკვნიდანვე თუ არა, პირველი წლებიდანვე მაინც ზედმიწევნით ფრთხილად მოვეკიდოთ აღსაზრდელს. „მთელ ბავშვს, - წერს პოეტი,- თუ მახინჯი არ არის, აქვს ყველა ხუთი გრძნობა: სითბოს, სიცივეს, შიმშილს, წყურვილს, სინათლეს, სიბნელეს, ხმაურობას, სიჩუმეს ყმაწვილი გრძნობს, მაგრამ გრძნობა და შეგნება ერთი როდია"[6] [8] მასწავლებელს რომელიც შედის კლასში, ეს ყველაფერი კარგად უნდა ჰქონდეს გათავისებული, მან უნდა იცოდეს, რომ ადამიანს საზოგადოებრივი ფუნქცია აკისრია და სოციალური დანიშნულება აქვს. საგნის სწავლებისას მან არ უნდა დაივიწყოს ისიც, რომ მან მოსწავლე უნდა აღზარდოს და არ ასწავლოს მხოლოდ საგანი, უნდა იზრუნოს მის სულიერ მდგომარეობაზე. „სული - წერს ვაჟა - არის ძალა, იარაღი, რომელიც უნდა მოიხმაროს კაცმა, რომ გახდეს ჭკვიანი, გონიერი, პატიოსანი, შეიძინოს სწავლა, გამოიცადოს და ეს თავისი გამოცდილება შვილებსაც გადასცეს. სულით კაცი ყველა სხვა ცხოველზე მაღლა დგას". როგორ ფიქრობთ, ის პროფესიონალი მასწავლებელი, რომელიც მხოლოდ საგნის სასწავლებლად შედის საკლასო ოთახში შეძლებს აღსაზრდელის სულიერ მდგომარეობაზეც იფიქროს?! თან მაშინ, როდესაც მასწავლებლის ანაზღაურება არცთუ ისე დიდია ჩვენს სახელმწიფოში. პიროვნება, რომელიც მხოლოდ ანაზღაურების გამო მიდის სკოლაში მასწავლებლად, ის არც კი შეეცდება საგნის გარდა სხვა რამესაც მიაქციოს ყურადღება. ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი დაუნდობლად შოლტავდა პედაგოგებს, რომლებიც მოსწავლეებისთვის ცოდნის მიცემით თავს არ იწუხებდნენ, მალულად რეპეტიტორობას ეწეოდნენ და მშობლებს ტყავს აძრობდნენ. ამით აღშფოთებული დიდი ქართველი პედაგოგი წერდა: „ცრუ პედაგოგები ძლიერ გამრავლდნენ ამ ბოლო დროს ფულს წინასწარ ართმევენ ყმაწვილის პატრონებს, ჰპირდებიან მოგიმზადებო და, რაკი ფულს ხელში ჩაიგდებენ, რა დარდი აქვთ, მიიღებენ თუ არა მათ შეგირდებს სასწავლებელში?"[7] [5]

ი. გოგებაშვილის მიხედვით, მასწავლებელს უშუალოდ სკოლაში მოღვაწეობის გარდა დიდი საზოგადოებრივი დანიშნულებაც აქვს. ის ქვეყნის სოციალური და ეკონომიური განვითარების შუაგულში ტრიალებს. ის დიდ ზეგავლენას ახდენს ხალხის კულტურულ განვითარებაზე. დიდი ქართველი პედაგოგის აზრით, მასწავლებელი უნდა იყოს როგორც თავისი მოწაფეების, ისე მთელი ხალხის სანიმუშო მაგალითი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებს ის თავისი მაღალი დანიშნულების აღსრულებას.[8] [2]

[5] პედაგოგიკის ისტორია., თბ. 1988., გვ. 95
[6] ქართველი მწერლები სკოლაში., წიგნი V(ნაწილი I)., გვ. 43
[7] პედაგოგიკა. თბ. 1995., გვ.241
[8] ვ. გაგუა. პედაგოგიკა., თბ. 1996., გვ. 57

ISSN 1512-1801

შთამბეჭდავად აქვს ჩამოყალიბებული მოთხოვნები მასწავლებლის მიმართ ლევ ტოლსტოის. იგი თვლიდა, რომ თუ მასწავლებელს მხოლოდ საქმის სიყვარული აქვს, იგი კარგი მასწავლებელი იქნება. თუ მას აქვს მხოლოდ მოსწავლისადმი სიყვარული, როგორც დედას და მამას, იგი იმ მასწავლებელზე უკეთესი იქნება, რომელმაც ყველა წიგნი წაიკითხა, მაგრამ არც საქმის და არც მოსწავლეების სიყვარული არ გააჩნია. სრულყოფილია მასწავლებელი, რომელიც თავის თავში აერთიანებს საქმისა და მოსწავლეებისადმი სიყვარულს.[9] [5]

პედაგოგობა არ არის მარტივი საქმე, ის მოითხოვს ძალიან ბევრ ასპექტს, ანუ პიროვნება, რომელიც მიდის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამუშაოდ საკუთარი საგნის ცოდნის გარდა რიგ მახასიათებლებს უნდა ფლობდეს.

XXI საუკუნეში, ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ პროფესიონალ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ყველა ის თვისება, რომელიც მას დაეხმარება აღმზრდელის ფუნქციებიც შეითავსოს. არ დაგვავიწყდეს ის, რომ მასწავლებელი, სკოლა ბავშვისთვის მეორე მშობლიური გარემოა, სადაც თავისი ცხოვრების გარკვეულ ნაწილს ატარებს, აქ ბევრ რამეს ითვისებს, ბევრ რამეს შეიცნობს, ამიტომ ეს გარემო მაქსიმალურად მოწესრიგებული და დალაგებული უნდა იყოს ყველანაირი თვალსაზრისით. ამ გარემოში მომუშავე მასწავლებელი-აღმზრდელი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, მომთმენი, კეთილი, გულისხმიერი, ემპათიური, მოსიყვარულე, სამართლიანი, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლობიანი., ვფიქრობ, ეს ის ძირითადი თვისებებია, რაც მასწავლებელ-აღმზრდელს უნდა ჰქონდეს, თუ მასწავლებელს ეს თვისებები არ აქვს წინ წამოწეული და მოვალეობის მოხდის მიზნით შედის საკლასო ოთახში, მას გაუჭირდება მოსწავლეთა პატივისცემისა და სიყვარულის მოპოვება, რაც სრულფასოვანი გაკვეთილის ჩატარების საწინდარია. ერთია საგნის კარგად ცოდნა, ხოლო მეორე სწავლება. მასწავლებლობა არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ პროფესიას, მასწავლებლობა ეს არის უნარი, რომელიც ყველა პიროვნებას არ აქვს იმდენად განვითარებული, რომ პედაგოგად იმუშაოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ეს უნარი არის, სწორედ, მოწოდება - იყო მასწავლებელი.

მასწავლებლის პროფესიისადმი დაინტერესება, როგორც ვიცით, 2010 წლიდან დაიწყო განათლების სამინისტროს მხრიდან მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების დაწესებით. ეს, ერთი მხრივ, ძალიან კარგია, თითქოს ამ გამოცდებმა მასწავლებლები გამოაფხილა და პროფესიული ზრდისკენ მოუწოდა, ბევრი მასწავლებელი ამას ენთუზიაზმით შეხვდა, ზოგი კრიტიკულად, ზოგისთვის ეს დამამცირებელი აღმოჩნდა., მაგრამ მთავარი ერთია, შეუძლია თუ არა ამ გამოცდებს შეამოაწმოს მასწავლებლის პიროვნული თვისებები, მისი ღირებულებები, მისი სულიერი მგომარეობა, გაზომოს მასწავლებლის გულისხმიერების, სამართლიანობის, შრომისმოყვარეობის, პასუხისმგებლობის კოეფიციენტი - ცხადია, არა. მასწავლებელ-აღმზრდელის საუკეთესო შემფასებელია მოსწავლე, რომელიც ყოველდღიურად ხვდება თავის მასწავლებელს და ყველანაირად აფასებს მას. მოსწავლე, რომელიც პატივს სცემს თავის მასწავლებელს და უყვარს ის, მისთვის ავტორიტეტია, ჩათვალეთ, რომ ამ პედაგოგს ახასიათებს ყელა ის თვისება, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალე. პროფესიონალ მასწავლებელში, ჩემი აზრით, არ მოიაზრება მხოლოდ საგნის სიღრმისეული ცოდნა,

[9] პედაგოგიკა. თბ. 1995., გვ.238

ISSN 1512-1801

არამედ მასწავლებლის მიერ აღმზრდელობითი ფუნქციების შეთავსებაც. როგორ ხდება მასწავლებელი ავტორიტეტული, მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი მოსწავლეთა სიყვარულსა და ნდობას მოიპოვებს.

პედაგოგიური ფსიქოლოგიის ცნობილი მკვლევარი პროფესორი შ. ჩხარტიშვილი აღნიშნავდა, რომ „აღზრდის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა მორალურ უპირატესობაზე აგებულ ავტორიტეტს აქვს. მასწავლებელი მოსწავლეზე აღმზრდელობით ზემოქმედებას ყველაზე მეტად მორალური სიმტკიცითა და სრულყოფილებით ახდენს. იგი თვითონ უნდა იყოს მაღალი ზნეობრივი პრინციპებით აღჭურვილი პიროვნება, რომ სხვების (ამ შემთხვევაში მოსწავლეების) ასეთად ქცევა შეძლოს. ყოველგვარი სააღმზრდელო ღონისძიება კარგავს ძალას იმ მასწავლებლის ხელში, რომელიც მოსწავლეთათვის მორალურ საფუძველზე აღიარებულ ავტორიტეტს არ წარმოადგენს. ამიტომ ყველაზე ძვირფასი, რაც მასწავლებელს, როგორც აღმზრდელს, მოეპოვება, ესაა ავტორიტეტი, რომელსაც იგი მუდამ თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს. მოსწავლეს, მაშინაც კი, როცა იგი სკოლიდან შორსაა, წინ უდგება, მაღალი მიზნისკენ მოუწოდებს და ზნეობრივად გაუმართლებელი მოქმედებისკენ მიმართული იმპულსების წინააღმდეგ ბრძოლაში ამხნევებს და ძალას მატებს იმ მასწავლებლის სახე და შთაგონება, რომელმაც თავისი ზნეობრივი სიმაღლით მის სულზე დიდი გავლენა მოახდინა[10].[9]

რა არის ავტორიტეტი? ავტორიტეტი არის მოსწავლეებზე ზეგავლენის ძალა, მასწავლებლისადმი ნდობა, პატივისცემა, აღიარება, დაჯერება. მასწავლებლის ავტორიტეტს განსაზღვრავს: ცოდნა, ნიჭი, ტაქტი, ოსტატობა, ზნეობრივ-მოქალაქეობრივი თვისებები და სხვ. ავტორიტეტი მასწავლებელს უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ მოსწავლეებში, არამედ თავის კოლეგებში, მოსახლეობაში, ყველგან, სადაც მას კონტაქტი აქვს. ავტორიტეტს მასწავლებელი, პირველ რიგში, თვითონ უნდა იძენდეს არა ხელოვნურად, ძალდატანებით, არამედ ბუნებრივად, თავისთავად.[11][2] მასწავლებელმა თვითონ უნდა შექმნას ავტორიტეტი კომპეტენტურობით, კეთილსინდისიერებით, თავდადებული შრომითა და უმწიკვლობით. მასწავლებლის ავტორიტეტზე ზრუნვა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.[12] [5]

მოზარდისთვის ის პირები რჩებიან ავტორიტეტებად, რომელნიც მას თავისი საქმით, თავისი ცხოვრებით დაუმტკიცებენ, რომ მასზე ინტელექტუალურადაც და მორალურადაც მაღლა დგანან.[13][9]

აღმზრდელის ავტორიტეტი თავისთავად მიმართავს მოზარდის ცნობიერებას გარკვეული ობიექტური ღირებულებებისაკენ და განსაკუთრებული სიღრმით განაცდევინებს კიდეც მას. სწავლისა და ეთიკურ საკითხებზე საუბრის აღმზრდელობითი ზემოქმედება უმნიშვნელოა იმ ეფექტთან შედარებით, რომელსაც აღმზრდელი ავტორიტეტი ამ მიმართულებით, უბრალოდ, თავისი ყოველდღიური ცხოვრებითა და მოქმედებით აღწევს ადრინდელი ასაკის მოზარდში. რამდენიც არ უნდა ელაპარაკოთ მორალურ ღირებულებათა შესახებ, რანაირი ახსნა-განმარტებაც არ

[10] შ. ჩხარტიშვილი. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია., თბ. 1974., გვ. 252
[11] ვ. გაგუა. პედაგოგიკა., თბ. 1996., გვ. 61, 62.
[12] პედაგოგიკა. თბ. 1995., გვ.242
[13] შ. ჩხარტიშვილი. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია., თბ. 1974., გვ. 173

ISSN 1512-1801

უნდა მისცეთ ბავშვს ზნეობრივ საკითხებზე, სულ ერთია, მიზანი მაინც მიუღწეველი დარჩება, თუ აღმზრდელის საუბარი ერთი გზით მიდის, ხოლო მისი ყოველდღიური ცხოვრება საწინააღმდეგო მიმართულებას იღებს. მაგრამ მაინც რა არის საჭირო იმისთვის, რომ ავტორიტეტი მოპოვებული და შენარჩუნებული იქნას? ბავშვის აღზრდის პროცესში აღმზრდელი თავის საკუთარ ნებისყოფასაც უნდა ზრდიდეს და ამტკიცებდეს. უპირველეს ყოვლისა, შენი საკუთარი ცხოვრება უნდა გქონდეს მოწესრიგებული, რომ სხვის ცხოვრებაში წესრიგის შეტანა შეძლო.[14][4] იმისთვის, რომ მასწავლებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფეხის შედგმის დღიდანვე შეძლოს დაკისრებული მოვალეობის შესრულება, საჭიროა, ფლობდეს პედაგოგიური ავტორიტეტის ორ ძირითად კომპონენტს: პიროვნულსა და პროფესიულს.

წარმატებული მასწავლებლის მიერ მოსწავლის ნამდვილ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში მასწავლებლის მაღალპროფესიონალიზმი და კარგი პიროვნული თვისებები ურთიერთპროპორციულია.[15] [10]

"მასწავლებელმა, უპირველეს ყოვლისა, მოზარდის სიყვარული უნდა დაიმსახუროს და გასაღებიც მის ხელში იქნება.. მაგრამ სიყვარული რომ დავიმსახუროთ, ჯერ ჩვენ უნდა შევიყვაროთ ბავშვი ნამდვილი სიყვარულით. დიდებს უნდა ახსოვდეთ, რომ ბავშვის მოტყუება შეუძლებელია, იგი გაცილებით მეტს გრძნობს, ვიდრე ჩვენ გვგონია...(ილია II) მასწავლებელ-აღმზრდელი არის, სწორედ, ღირებულებების გადამცემი და მას არ აქვს არასწორი ნაბიჯის გადადგმის უფლება.

მასწავლებელს, თუ სურს მოიპოვოს ავტორიტეტი:

- უნდა შეეძლოს სასწავლო მასალის შინაარსზე მუშაობა.,
- ცალკეულ მოსწავლეთა რეალური შესაძლებლობების განსაზღვრა.,
- მოსწავლეთა ტიპური სიძნელეების გათვალისწინება;
- ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ცოდნის გამოყენება.,
- მოსწავლეთა სიძნელეების მიზეზების საკუთარი მუშაობის ნაკლოვანებებთან დაკავშირება.,
- მოსწავლის პოზიციისა და შინაგანი მდგომარეობის გაგება.,
- მოსწავლეებში ნდობის გამოწვევა.,
- ცალკეული ასპექტების იუმორით აღქმა.,
- საკუთარი პედაგოგიური შესაძლებლობების რეალიზება და განვითარება., საკუთარი ემოციური მდგომარეობის მართვა.,
- საკუთარი ძლიერი მხარეების განმტკიცება.,
- მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრა.,
- მოსწავლის ზნეობრივი მხარის შეფასება.,
- მოსწავლის სუსტად განვითარებული პიროვნული თვისებების სტიმულირება.,
- საკუთარი პროფესიონალიზმის შეფასება.[16] [1]

[14]მასწავლებლის ავტორიტეტის მაფორმირებელი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები., ინტერნეტვერსია იხ.:http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-1l--11-en-10---10-preferences-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=period&cl=CL2.15&d=HASH017f397a5665a37403697287.9.1

[15] წარმატებული მასწავლებლის როლი ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაში., ინტერნეტვერსია იხ.:http://blogger.ge/post/966

ISSN 1512-1801

მასწავლებელს ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებისა და უნარების გარდა, უნდა ერკვეოდეს ფსიქოლოგიაში. თსუ-ის ასოცირებული პროფესორის, ფსიქოლოგ მანანა მელიქიშვილის აზრით, ფსიქოლოგიის ცოდნა მასწავლებელს იმისთვის სჭირდება, რომ დაეუფლოს სწავლების სხვადასხვა სტრატეგიას, კლასის მართვის ხერხებს, იცოდეს ბავშვების ასაკობრივი განვითარების თავისებურებები და შეეძლოს ინდივიდუალობის დანახვა. სწავლების უნარ-ჩვევები ადამიანს მემკვიდრეობით არ გადაეცემა. ფსიქოლოგიას შეუძლია, ამ უნარ-ჩვევების განვითარებაში დაგვეხმაროს.

მოსწავლე სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა ფსიქოლოგიური თავისებურებით გამოირჩევა. ეს გამოიხატება არა მარტო მისი ქცევით, არამედ ცოდნის ათვისების სპეციფიკითაც. ცოდნა იმის შესახებ, როგორ სწავლობენ მოსწავლეები, როგორ ვითარდებიან, რა ახდენს მათ მოტივირებას, როგორ ფიქრობენ და იმახსოვრებენ, მასწავლებელს სწავლის პროცესის წარმართვას უადვილებს. წინათ ქართული საგანმანათლებლო სისტემა ფაქტობრივი ცოდნის გადაცემაზე იყო აგებული. სადღეისოდ მიდგომა რადიკალურად შეიცვალა. მასწავლებელმა სწავლების ისეთი მეთოდები უნდა შესთავაზოს მოსწავლეს, რომ იგი თვითონვე გახდეს ცოდნის აღმომჩენი. შვეიცარიელი ფსიქოლოგი ჟან პიაჟე, რომლის კვლევის ძირითადი სფერო ბავშვის აზროვნების განვითარებაა, ამტკიცებს, რომ ბავშვი უბრალოდ კი არ რეაგირებს გარემოზე, არამედ აქტიურად მოქმედებს და გარემოსთან შეგუების პროცესში იძენს ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პიაჟეს თეორიის მიხედვით, აზროვნების განვითარების შესაბამისად ბავშვებს უნდა მივაწოდოთ რეალური სამყაროს აღქმის შესაბამისი საშუალებები., აზროვნების განვითარება ხდება ისეთი სავარჯიშოების ან სიტუაციების მეშვეობით, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში ბავშვების აქტიურ ჩართვას. სასწავლო მასალები და სავარჯიშოები უნდა შეესატყვისებოდეს ბავშვის აზროვნების განვითარების დონეს. ერთი სიტყვით, არსებობს არაერთი ფსიქოლოგიური თეორია, რომლებიც მასწავლებლებს მოსწავლეებთან ურთიერთობასა თუ სწავლებაში ეხმარება.[17][7] კარგი მასწავლებლის ფსიქოლოგიური პორტრეტი კი ასეთია:

- მასწავლებელს უნდა უყვარდეს ბავშვები და თავისი პროფესია.,
- ჰქონდეს საგნის აკადემიური ცოდნა.,
- ფლობდეს სწავლების სტრატეგიებს, საკლასო ოთახის მენეჯმენტის ძირითად პრინციპებს.
- უნდა ჰქონდეს ემპათიის (თანაგანცდის) უნარი, გრძნობდეს მოსწავლეთა საჭიროებებს.
- მასწავლებელს უნდა შეეძლოს საკუთარი პიროვნების შეცნობა და მართვა (მისწრაფებების, ძლიერი და სუსტი მხარეების გაცნობიერება).

თუ მასწავლებელმა ეს შეძლო, იგი ადვილად ჩასწვდება თითოეული ბავშვის ხასიათსაც და წარმატებით შეძლებს მათთან ურთიერთობას. მასწავლებელმა ბევრი დრო უნდა დაუთმოს მოსწავლის სოციალურ და ემოციურ განვითარებას. აუხსნას მას, რა არის პასუხისმგებლობა და სამართლიანობა, ხელი შეუწყოს მისი თვითშეფასების

[16]ავტორიტეტი-მასწავლებლის უმნიშვნელოვანესი იარაღი. ინტერნეტვერსია იხ.: http://mastsavlebeli.ge/?action=news&npid=476

[17] ფსიქოლოგია და განათლება., ინტერნეტვერსია იხ.: http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=14&id=28

ISSN 1512-1801

ამაღლებას, სწავლებისას გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის უნარები და შესაძლებლობები.

გამოდიოდა რა მასწავლებლის დიდი საზოგადოებრივი დანიშნულებიდან, პედაგოგი, კლასიკოსი, დემოკრატი, ჰუმანისტი და განმანათლებელი კონსტანტინე დიმიტრის ძე უშინსკი მასწავლებლისთვის აუცილებლად თვლიდა ისეთ პიროვნულ თვისებებს, როგორიცაა ხალხის, ერის, სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადების გრძნობა, ბავშვისა და პედაგოგიური პროფესიის სიყვარული („ჩაწვდეს მოსწავლის მოთხოვნილებებს, ჩაიხედოს მის სულში"), ფართო და მრავალმხრივი საფუძვლიანი განათლება, მისწრაფება თავისი ცოდნა გადასცეს სხვას. მასწავლებელი უნდა ფლობდეს პედაგოგიურ ტაქტს, რადგან უამისოდ იგი ვერ იქნება კარგი აღმზრდელი, თუნდაც კარგად ჰქონდეს შესწავლილი პედაგოგიკა. კ.დ. უშინსკის აზრით, მასწავლებელი თვითონ უნდა იყოს დაჯილდოებული ყველა იმ თვისებით, რომელთა აღზრდასაც იგი ითვალისწინებს მოსწავლეებში. პირველ რიგში, თვითონ უნდა იყოს ადამიანური თვისებებით აღჭურვილი, რათა მან შეძლოს „ადამიანში ადამიანის აღზრდა."[18] [6]

როგორ ფიქრობთ, მხოლოდ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სკოლაში მისული მასწავლებელი, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, შეძლებს კი აღზარდოს მოსწავლე, გამოძერწოს მისგან ღირსეული პიროვნება, სიკეთის გზა უჩვენოს და ღირსეულ მოქალაქედ ჩამოაყალიბოს. არავინ ამბობს იმას, რომ მასწავლებლობა ადვილია, ეს ურთულესი პროფესიაა, რომლის დასაუფლებლად მხოლოდ პედაგოგიკის შესწავლა და ცოდნა არ არის საკმარისი. როგორც ხედავთ, მასწავლებლობა უამრავ ფაქტორს მოიცავს, რომელიც ყველა პიროვნებამ, ვინც პედაგოგობას დაისახავს მიზნად, უნდა გააცნობიეროს და შეეგუოს იმ აზრს, რომ მხოლოდ სპეციალური საგნების შესწავლით ის ვერ გახდება პედაგოგი, მასწავლებელი. ესა თუ ის პიროვნება მოწოდებით უნდა იყოს მასწავლებელი, რათა მან შეძლოს მიზერული ანაზღაურების, ათასგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობა მრავალი წლის განმავლობაში, მხოლოდ ენთუზიაზმისა და სიყვარულის ხარჯზე. სწორედ სიყვარული, მოთმინება და ემპათიის უნარი თუ დაეხმარება მასწავლებელს ღირსეულად გაუძღვეს თავის საქმიანობას და აღზარდოს მომავალი თაობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავტორიტეტი-მასწავლებლის უმნიშვნელოვანესი იარაღი. ინტერნეტვერსია იხ.: http://mastsavlebeli.ge/?action=news&npid=476
2. გაგუა ვ, პედაგოგიკა, თბ. 1996
3. მალაზონია შ, პედაგოგიკა, თბ., „ქრონოგრაფი," 2001.
4. მასწავლებლის ავტორიტეტის მაფორმირებელი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები., ინტერნეტვერსია იხ.:http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4-

[18] პედაგოგიკის ისტორია., თბ. 1988., გვ.235

ISSN 1512-1801

--0-1l--11-en-10---10-preferences-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=period&cl=CL2.15&d=HASH017f397a5665a37403697287.9.1

5. პედაგოგიკა, თბ., თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1995.
6. პედაგოგიკის ისტორია., თბ., განათლება, 1988.
7. ფსიქოლოგია და განათლება., ინტერნეტვერსია იხ.: http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=14&id=28
8. ქართველი მწერლები სკოლაში, წიგნი V(ნაწილი I), თბ., „საქართველოს მაცნე".
9. ჩხარტიშვილი შ, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ.,თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1974.
10. წარმატებული მასწავლებლის როლი ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაში., ინტერნეტვერსია იხ.:http://blogger.ge/post/966